

შპს „ბზ კომპანი“ ს/კ 204439269

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულის ექვივალენტები	8
4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8
5. ძირითადი საშუალებები	9
6. კაპიტალი	10
7. სესხები	10
8. საერთო მოგება	10
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
10. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	11

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.18	31.12.19
აქტივები		
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>7 152 251</u>	<u>7 382 997</u>
ძირითადი საშუალებები	5 667 316	5 018 404
არამატერიალური აქტივები	4 935	4 583
ინვესტიციები სხვა საწარმოში	1 480 000	2 360 010
<u>მიმდინარე აქტივები</u>	<u>4 245 694</u>	<u>5 372 685</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები	868 353	95 457
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	996 884	1 592 710
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 921 092	2 913 849
გადახდილი ავანსები	220 373	395 180
სხვა მოთხოვნები	238 992	375 489
სულ აქტივები	11 397 945	12 755 682
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	370 000	370 000
გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)	6 175 136	7 021 159
სულ საკუთარი კაპიტალი	6 545 136	7 391 159
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>	<u>2 688 390</u>	<u>2 599 822</u>
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	2 688 390	2 599 822
<u>მოკლევადიანი ვალდებულებები</u>	<u>2 164 419</u>	<u>2 764 701</u>
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	669 079	592 474
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	596 903	840 904
მიღებული ავანსები	898 437	1 296 683
სხვა ვალდებულებები	0	34 640
სულ ვალდებულებები	4 852 809	5 364 523
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11 397 945	12 755 682

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2020 წლის 29 სექტემბერს.


შპს ბბ კომპანი 204439269

დირექტორი

ნოდარ კომახიძე


შპს ბბ კომპანი 204439269

მთავარი ბუღალტერი

თეა გრიგოლია

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	6 178 093
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4 001 423)
საერთო მოგება	2 176 670
სხვა შემოსავლები	964 221
სულ სხვა შემოსავლები	964 221
საპროცენტო ხარჯი	(226 636)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 044 987)
სხვა ხარჯები	(384 204)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1 655 827)
კურსთაშორის სხვაობიდან წმინდა მოგება/(ზარალი)	(282 324)
მოგების გადასახადი	(11 652)
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	1 191 088

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2020 წლის 29 სექტემბერს.


BB Company
შპს ბბ კომპანი 204439269

დირექტორი

ნოდარ კომახიძე


BB Company
შპს ბბ კომპანი 204439269

მთავარი ბუღალტერი

თეა გრიგოლია

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	370 000	6 175 136	6 545 136
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	0	1 191 088	1 191 088
გადახდილი დივიდენდები	0	(345 065)	(345 065)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	370 000	7 021 159	7 391 159

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2020 წლის 29 სექტემბერს.


შპს ბბ კომპანი 204439269

დირექტორი

ნოდარ კომახიძე


შპს ბბ კომპანი 204439269

მთავარი ბუღალტერი

თეა გრიგოლია

შპს „ბზ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ბზ კომპანი (ს/კ 204439269) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2002 წლის 23 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქ., № 29. კომპანია დაარსების დღიდან ანხორციელებს ყავის და ყავის აპარატების იმპორტს საქართველოში, 2017 წლიდან დაემატა ახალი მიმართულება, ადგილობრივი ყავის წარმოება.

კომპანიის 100 % წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკუთვნის ალექსანდრე ბერიძეს პ/ნ 01018001980.

2019 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 18.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სადრიცხო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავატები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სადრიცხო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

შპს „ბზ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა 2-20 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, საწყობამდე ტრანსპორტირების, გადამუშავების და შეფუთვის ხარჯები. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება, როგორც სარეალიზაციოდ გამზადებული მზა პროდუქციისგან, ასევე საწარმოო პროცესისთვის განკუთვნილი ნედლეულისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები წარმოგენილი აქვს შესაბამის ანგარიშზე.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან აღიარდება: ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის შემთხვევაში, ზედნადების გამოწერისას, ხოლო ექსპერტის შემთხვევაში (EXW ან FCA) ინვოისის გამოწერისას. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას ზედნადების გამოწერისას, ხოლო იმპორტის შემთხვევაში ინკოტერმის წესების გათვალისწინებით.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.18	31.12.19
ნაღდი ფული სალაროში	6 726	5 961
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	861 627	89 496
სულ	868 353	95,457

4 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.18	31.12.19
საქონელი	1 867 084	2 848 436
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	54 008	65 413
სულ	1 921 092	2 913 849

შპს „ბმ კომპანია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენიშნა- ნაცვობები	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2018	362,000	3,397,822	3,693,546	217,182	7,670,550
შეძენა	0	0	93,571	0	
გასვლა	0	(308,319)	(38,184)	(13,001)	
31.12.19	362,000	3,089,503	3,748,933	204,181	7,404,617
ცვლილება					
დაგროვილი ცვლილება 31.12.2018	0	(877,413)	(1,069,878)	(55,943)	(2,003,234)
ცვლილება 2019	0	(195,668)	(274,936)	(29,554)	
რეალიზებული ცვლილება	0	82,839	21,783	12,557	
დაგროვილი ცვლილება 31.12.19	0	(990,242)	(1,323,031)	(72,940)	(2,386,213)
სამაღაშრო დირექტორების					
31.12.18	362,000	2,520,409	2,623,668	161,239	5,667,316
31.12.19	362,000	2,099,261	2,425,902	131,241	5,018,404

6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 370 000 ლარს, 2019 წლის განმავლობაში კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 1 191 088 ლარი.

7 სესხები

	2018	2019
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	669 079	592 474
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	2 688 390	2 599 822
სულ მიღებული სესხები	3 357 469	3 192 296

8 საერთო მოგება

	2019
შემოსავალი ყავისა და დანადგარების რეალიზაციიდან	6 033 636
შემოსავალი იჯარიდან	144 457
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	964 221
სულ შემოსავალი	7 142 314
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 815 215)
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(186 208)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4 001 423)

სხვა არასაოპერაციო შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენს ქონების რეალიზაცია (911 648 ლარი).

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	479 767
სახელფასო ხარჯები	206 320
კომუნალური ხარჯები	25 255
სამივლინებო ხარჯები	12 146
საწვავი	12 944
სადაზღვეო ხარჯები	10 640
საბანკო ხარჯები	14 174
კომუნიკაციის ხარჯები	6 953
საექსპლუატაციო ხარჯები	5 608
საკანცელარიო ხარჯები	3 917
წარმომადგენლობითი ხარჯები	271
რემონტის ხარჯები	2 204
სარეკლამო ხარჯები	40 560
მიწისა და ქონების გადასახადის ხარჯები	106 766
სხვა ხარჯები	117 462
სულ	1 044 987

შპს „ბბ კომპანი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 49 995 ლარს (2018 წელს - 47 757.5 ლარი).